ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 9

15 იანვარი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

15:00 სთ

სხდომა ჩატარდა სარევიზიო კომისიასთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; თემურ გორგაძე; ალექსანდრე ხუჯაძე; დავით უთმელიძე; ირაკლი ნადირაძე;ლევან დარახველიძე.

მოწვეული სტუმრები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი- **სერგო ბირკაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი-**გიორგი პაპავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი- **ვლადიმერ ჭიღლაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- **გაიოზ თალაკვაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- **ლევან მიქავა.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- **ირაკლი თავართქილაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანამშრომელი- **ქვარა ჩართოლანი.**

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ სამ საკითხს განიხილავს ორივე კომისია, ხოლო

დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ (№12-03180111-03 11.01.2018წ)

2."ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შეახებ" (საკრებულოს - 12-0318012172-03 12.01.2018).

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" (საკრებულოს - 14-031801540-03. 15.01.2018).

4. ქალაქ თილისში, დაბა წყნეთში მდებარე მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(საკრებულოს №

5. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის II მიკრორაიონის კორპ.№20 ა-ში (ნაკვეთი 17/008 საკ/კოდი:№01.19.39.017.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

6..ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა 115-ში (საკ/კოდი:№01,18,09009,003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

7. ქალაქ თილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისთვის მიკუთვნებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№11-01180122665)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა სერგო ბირკაძემ. მან დეტალურად ისაუბრა პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ

პროექტის წარმოდგენის მიზეზს წარმოადგენს მერიაში მიმდინარე რეორგანიზაცია და „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი. ასევე იცვლება საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურებების წესი. რეორგანიზაციის შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 654 საშტატო ერთეული მცირდება 612 - მდე. წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იხელმძღვანელებს 22 თებერვლამდე ანუ რეორგანიზაციის დასრულებამდე.

შეკითხვები ჰქონდათ ლ.ხაბეიშვილს, ი.ნადირაძეს.

ლ. ხაბეიშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომ განემარტათ: რამდენი საშტატო ერთეულით მცირდება რეალურად მერიის სტრუქტურები და რამდენი საშტატო ერთეულით მცირდება ქალაქის რაიონული გამგეობები და ამ შემცირებებით რა თანხა დაიზოგება ქალაქის ბიუჯეტში, რაზედაც მას პასუხად განემარტა, რომ დასმულ კითხვებზე დეტალურად საუბარი და ციფრების დასახელებაც შესაძლებელი იქნებოდა 22 თებერვლის შემდგომ.

რ.ბერაძის განმარტებით რაიონულ გამგეობებში ქალაქის მასშტაბით შემცირება ეხება 41 საშტატო ერთეულს, საიდანაც 25 ადამიანი მუშაობას გააგრძელებს ააიპ „მომსახურების სააგენტოში“, რასაც დაეთანხმა ს.ბირკაძე. ხოლო ი.ზარქუამ აღნიშნა , რომ რეორგანიზაციის მიზანი არის სწორი და გამართული მართველობითი მექანიზმის შემუშავება.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” (საკრებულოს -№12-03180111-03 11.01.2018). განკარგულების პროექტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

მომხრე- 7 ; წინააღმდეგი- ი.ნადირაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ **ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა,** “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” (საკრებულოს -№12-03180111-03 11.01.2018). განკარგულების პროექტები, გატანილ იქნეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შეახებ” (საკრებულოს - 12-0318012172-03 12.01.2018).

საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა **სერგო ბირკაძემ.** მან ვრცლად ისაუბრა თბილისის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ახალი საქალაქო სამსახურების, სამსახურების ფუნქციურ სიახლეებზე და შესაბამისი სამსახურების დებულებებში განსახორციელებელ დაგეგმილ ცვლილებებზე.

ლ.ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა რამოდენიმე კონკრეტული ინფორმაცია რომ ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებში თბილისის მასშტაბით ადამიანები, ერთდროულად მუშაობდნენ რამოდენიმე სამსახურში. აინტერესებდა, ანალოგიურ შემთხვევებს ხომ არ ექნებოდა ადგილი ახალი მმართველობის პირობებშიც. რაზედაც ი.ზარქუამ მიმართა ლ.ხაბეიშვილს,რომ კარგი იქნება თუ ის მიაწოდებს შესაბამის სამსახურს დეტალურ ინფორმაციას და ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში აუცილებლად მოხდება ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" (საკრებულოს - 12-0318012172-03 12.01.2018) დადგენილების პროექტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

მომხრე- 7 ; წინააღმდეგი- ი.ნადირაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ **ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა,** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" (საკრებულოს - 12-0318012172-03 12.01.2018) დადგენილების პროექტები გატანილ იქნეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" (საკრებულოს - 14-031801540-03. 15.01.2018).

საკითხის შესახებ ისაუბრა **ირაკლი ზარქუამ.**

ი.ზარქუამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული პროექტის წარმოდგენის საფუძველს წარმოადგენს საკრებულოს თანამდებობის პირად, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის და ასევე ფრაქციის მოადგილეების რაოდენობის განსაზღვრა. აღნიშნულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში

ცვლილების განხორციელების საკითხი. ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმა, რომელიც წინა წლის 1 ივლისს ამოქმედდა შტატგარეშე მოსამსახურის ნაცვლად შემოიღო, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დეფინიცია, რამაც განაპირობა ცვლილების საჭიროება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების შესაბამის მუხლებში.

საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ ახალი კანონის მიღებამ დღის წესრიგში დააყენა ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების საკითხი.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს - 14-031801540-03. 15.01.2018) დადგენილების პროექტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

მომხრე- 7 ; ი.ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ **ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს - 14-031801540-03. 15.01.2018) დადგენილების პროექტები, გატანილ იქნეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა ირაკლი თავართქილაძემ.მისი განმარტებით თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით 35 პიროვნებას, რომლებიც ხანგრძლივი დროით ფლობენ და სარგებლობენ წყნეთში უძრავი ქონებით,პირდაპირი განკარგვის ფორმით, პროვატიზების ფორმით, საკუთრებაში სიმბოლურ ფასად გადაეცემათ უძრავი ქონება, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით.

გარდა ამისა მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ მათგანს საჯარო რეესტრის მიხედვით უფიქსირდებათ საკუთრებაში მიწა რომელიც ზოგმა გაყიდა,ზოგმა გადააფორმა, მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ მიწის ნაკვეთზე. სსიპ ქონების მართვის სააგენტო მუშაობს წესზე, სადაც გაიწერება

კრიტერიუმები, რა კრიტერიუმებითაც მოხდება მსგავსი ქონების გადაცემა.პრიორიტეტი მიენიჭება შშმ პირებს,მრავალშვილიანებს და სხვა.

ი.ნადირაძემ აღნიშნა, რომ მისალმება ამ ინიციატივას, ხოლო ლ.დარახველიძის აზრით, ქონების გადაცემის დროს უნდა იქნას გათვალისწინებული სხვენი, კიბე და ა.შ, რაც ასახული უნდა იქნეს წესში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" განკარგულების პროეტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე- 7 ; თავი შეიკავა ი.ნადირაძემ.

კომისიამ ხმათა უმრავლეობით გადაწყვიტა:" ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკრებულოს გაკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის II მიკრორაიონის კორპ.№20 ა-ში (ნაკვეთი 17/008 საკ/კოდი:№01.19.39.017.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, მოქ.ფრიდონ ბათირაშვილს ,რომელიც ვარკეთილი 3-ის მე-2 მიკრორაიონის №20ა კორპუსში, პირველ სართულზე 36,23 კვმ ფართს ფლობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემა აღნიშნული უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად.

მომხრე-8

კომისიამ წევრებმა გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის II მიკრორაიონის კორპ.№20 ა-ში (ნაკვეთი 17/008 საკ/კოდი:№01.19.39.017.008.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე", საკრებულოს გაკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა 115-ში (საკ/კოდი:№01,18,09009,003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით 3 მოქალაქეს: ფოფხაძე გვანცას (01015025832); მარინე შაქარაშვილს და კახაბერ კერესელიძე პირდაპირი განკარგგვის წესით, სიმბოლურ ფასად გადაეცემათ უძრავი ქონება ვახტანგ გორგასლის ქუჩა №115-ში, რასაც ფლობენ და სარგებლობენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

მომხრე - 7 ; თავი შეიკავა- ი.ნადირაძემ.

კომისიამ წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა:. ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა 115-ში (საკ/კოდი:№01.18.09.009.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისთვის მიკუთვნებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს, 2017 წლის დეკემბრის თვის დარბაზის იჯარისათვის ესაჭიროება 10 963 ლარი პროგრამაში „ ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი 04 01), ხოლო პრგრამაში ‘ თბილისის საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში“ (04 09)- პოლიგრაფიული მომსახურებისათვის 7800 ლარი, რაც არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად ითხოვენს თანხების მომდევნო კვარტლებიდან პირველ კვარტალში გადმოტანას.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისთვის მიკუთვნებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს, 2017 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი მომსახურების (დარბაზის იჯარა და პოლიგრაფიული მომსახურება) დაფინანსების მიზნით, პროგრამაში „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი 04 01) - 11000 ლარის მე-3 კვარტლიდან პირველ კვარტალში გადმოტანას და პროგრამაში „ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია“ (კოდი 04 09) - 7800 ლარის მე-2 კვარტლიდან პირველ კვარტალში გადმოტანას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა